

განაცილებით ურთიერთობები თავისი განვითარების ისტორიის მანძილზე განიცდიდა განვითარებისა და დაცემის პერიოდებს. საზოგადოების დაინტერესება ამ პროცესით ძალიან დიდი იყო. მნელია დაინახო მსგავსი დამოკიდებულება განაწილებითი ურთიერთობებისადმი ისეთი სახით, როგორიც ამერიკაშია, სადაც გათანაბრებითი ურთიერთობები გვხვდება საქმაოდ იშვიათად, მაგრამ „შესაძლებლობების თანაბრობის“ იდეა რჩება წმიდათაწმინდად ჯერ კიდევ კოლონიალიზმის დროიდან მოყოლებული, ვორე ჩვენს დღევანდელ რეალობამდე.

დღიდი ხნის მანძილზე განაწილებითი ურთიერთობებისათვის დამახასიათებელი ტენდენციები არ განეცუთვნებოდა ფართო ღონისძიებების ფართო დაინტერესების სფეროს მეცნიერთა და სწავლულთა მხრიდან. ეხლა კი, როცა კაცობრობის წინაშე ახალი ძალით დადგა ისეთი პრობლემების გადაჭრის საკითხი, როგორიცაა: სიღარიბის პრობლემა, სხვადასხვა ჯგუფებისა და პროფესიების ადამიანთა, იმიგრანტთა და ეროვნულ უმცირესობათა პრობლემები, განაწილებითი ურთიერთობების შესწავლის აუცილებლობა მკვეთრად გაიზარდა და „ახალი სიცოცხლე“ შეიძინა. გათანაბრებითი ურთიერთობები დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში ზოგჯერ მიმართული იყო შემოსავლების გათანაბრებისაკენ. დღევანდელი პოლიტიკა, როგორც ჩანს, უგულებელყოფს განაწილების თანაბრობის იდეას.

მარშალის დროიდან მოყოლებული, განაწილების ურთიერთობების კალებაში უმნიშვნელოვანების მიღწევას წარმოადგენდა ფრენკ გ. ნაიტის მოგების თეორია. 30-იანი წლების ნაშრომებს შორის შეიძლება გამოვყოთ ი.ფიშერის „პროცენტის ნეოკლასიკური თეორია“, მაგრამ ის იდეები, რომლებსაც ის გადმოცემდა თავის ნაშრომში, ეკონომიკურ ნაშრომებში გვხვდებოდა გაცილებით ადრე. სხვა დანარჩენ ნაშრომებში აღსანიშნავია კოტ-დ'უგლასის მწარმოებლურობის ფუნქცია, რომელშიც შრომისა და კაპიტალის „წილი“ შემოსავლებში უნდა ვიგარაუდოთ მუდმივად, მიუხედავად იმისა, თუ რა იგულისხმება კაპიტალის გაგებაში. მონოპოლიების შესწავლამ 30-იან წლებში მოიგანა ის შედეგი, რომ ცნება „ხდვრული დირებულება“ შეცვალა ცნებამ „ხდვრული შემოსავალი“.

ხდვრული მწარმოებლურობის თეორიამ, ამ

ედუარდ კავთიძე ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

შესწორებებითა და ნაიტის შეხედულების გათვალისწინებით, შეადგინა განაწილების ნეოკლასიკური თეორია. შემდგომში სამეცნიერო კვლევების შედეგად, მეცნიერები მივიღნენ იმ დასკვნამდე, რომ სავსებით შესაძლებელი იყო განაწილების საერთო თეორიის აგება იმ საფუძვლებზე, რომლებსაც კეინსი სთავაზობდა კაცობრიობას. ამ დროიდან მოყოლებული, განაწილების პრობლემებს განიხილავდნენ მაკროეკონომიკასთან მჭიდრო ურთიერთკავშირში. სწორედ რომ განაწილების თეორიაში „მაკრო“ და „მიკრო“ ეკონომიკის დაპირისპირება არის არაბუნებრივი და ფანტაზიის სფეროს განეცუთვნება; შემოსავლების განაწილებას განეცუთვნება ისიც, რაც მცირე ფირმაში ხდება და ისიც, რაც ხდება მთლიანად ეკონომიკაში.

ზღვრული სარგებლიანობის თეორიის ერთ-ერთი თავდამოდებული მომხსოვრე იყო გამოჩენილი მეცნიერი ბრონფენბრენერი. თავის ნაშრომში „ნეოკლასიკური თეორია“, ის აანალიზებს ურთულეს საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია განაწილებით ურთიერთობებთან. ამ თეორიას ბრონფენბრენერმა უწოდა „ძველი, კეთილი თეორია“ და მისი აზრით, მას (თეორიას) შეუძლია აღწეროს და ახსნას რეალობა.

ი. კრიგელი, რომელიც იყო ახალგაზრდული, პოსტკეინსიანური მიმდინარეობის წარმომადგენელი, განაწილებითი ურთიერთობების ახსნისას ხშირად მიმართავდა ამ თეორიის პირველწყაროებს - კეინზისა და კალეცის ნაშრომებს. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდა მოგების თეორიაზე. მოგების სიდიდე განისაზღვრება ინვესტიციების მოცულობისა და დანაზოგების რაოდენობის მაჩვენებლებიდან. მოცემული თეორიის მიხედვით, განსაკუთრებით ადსანიშნავია, რომ კაპიტალისტური წყობილების სიცოცხლისუნარიანობა განისაზღვრება არა მარტო იმ ინვესტიციებით, რომლებმაც შექმნეს სამუშაო ადგილები, არამედ იმ ინვესტიციებითაც, რომლებსაც მოაქვთ გარკვეული მოგება. კრიგელმა პირველმა შესძლო მულტიპლიკატორის თეორიიდან მიეღო მთელი ეს მნიშვნელოვანი „ტრივიალური“ დასკვნა.

თანამედროვე განაწილებითი ურთიერთო-

ეკონომიკური თეორიის პრიბლემები

ბებისთვის დამახასიათებელია ათი პრობლემა. აი ისინიც:

1. შემოსავლების განაწილება და საზოგადოებრივი სამართლიანობის თეორია;
2. სარგებლიანობის ურთიერთდამოკიდველება და საზოგადოებრივი კეთილდღეობა;
3. სიღარიბის, არასრული დასაქმებისა და უთანაბრობის განსაზღვრა;
4. შემოსავლების განაწილების ხერხები;
5. „ხელფასის მატებისა” და „მოგების შემცირების” მნიშვნელობა განაწილების თეორიასთან მიმართებით;
6. განაწილება და კონომიკური განვითარება;
7. შრომითი შემოსავლების განაწილება: დისკუსია ბაზრის სეგმენტაციის საკითხებზე;
8. კოლექტიური ხელშეკრულებების გაფორმების შედგავის;
9. შემოსავლების განაწილება და საერთო წონასწორობის თეორია;
10. განაწილების მატოვეკონომიკური თეორია.

განაწილების უმნიშვნელოვანეს პრობლემებან მიმართებაში აღსანიშნავია განაწილების ნეოკლასიკური თეორიის არსებობა საბაზრო კონომიკის პირობებში. კონკურენციის პირობებში საწარმოო ფაქტორებზე მოთხოვნა განისაზღვრება, პირველ რიგში, მათი ზღვრული მწარმოებლურობის გათვალისწინებით, ხოლო მიწოდება - ძირითადად სამუშაო და თავსუფალი დროის არჩევის თანაფარდობით. ამ თეორიის შესამოწმებლად, გლობალური კონომიკის გათვალისწინებით, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს აგრეგირებული საწარმოო ფუნქცია. მთებედავად ნეოკლასიკური ტერმინოლოგიის მნიშვნელოვანი ნაწილის აპოლოგეტიკური შეფერილობისა, არცერთი ზემოთ აღწერილი მდგომარეობა არ ატარებს ნორმატიულ და შეფასებით სასიათს და არ არის აუცილებელი საბაზრო კონომიკის დაცვის პირობებში, შემოსავლების განაწილების შედეგების შეცვლა.

შემოსავლების განაწილების საკითხებზე მომუშავეთა შორის თანამედროვე „კლასიკოსად” აღიარებულია ჯ. როულზი. მისი აზრით, შემოსავლების განაწილება სამართლიანია, თუ იგი არის ინდივიდებს შორის დადებული საზოგადოებრივი ხელშეკრულების შედეგი. როულზმა ყოველგვარი დასაბუთების გარეშე მიიღო „მინიმაქსის” თეორია: აღმოჩნდენ რა უცოდინრობის „პირველად მდგომარეობაში”, ინდივიდები მიისწრაფვოდნენ შემოსავლების თანაბრობისაქნ და უარ ამბობდნენ გამდიდრებაზე, რომლებიც მიმართები დონის გაზრდაზე, რომელიც შეიძლება მათ შეცვლად დარღვეული დაგება იწვევს ისეთ შედეგს, როცა საზოგადოების არც ერთ წევრს არ ექნება სხვის მიმართ უკმაყოფილების გრძნობა. ყველა ზემოჩამოთვლილი საკითხ-

ადამიანები ეკონომიკაზე მსჯელობენ უწინარესად იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად სამართლიანია შემოსავლები განაწილებული. სამართლიან განაწილებაში იგულისხმება არა მარტო ის შემოსავალი, რომელიც საჭიროა ადამიანის ბიოლოგიური მოთხოვნილებების მინიმალურად დაკმაყოფილებისათვის, არამედ ის, რომელიც უზრუნველყოფს ინდივიდის თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და დირსების დაცვის ელემენტარულ მოთხოვნილებას; მაგრამ, ალბათ, მაინც უნდა შევურიგდეთ გარკვეულ უთანაბრობას, რადგან განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანებს მიეცეთ უფრო მეტი სტამული თავიანთი შესაძლებლობების გამოსავლენად. როულზის მსჯელობაში არ არის გათვალისწინებული შემოსავლების გააწილება ინდივიდებს შორის მთელი სიცოცხლის მანძილზე, ასაკი კი არის უმთარესი ფაქტორი პირადი შემოსავლებისა და სიმდიდრის ფაქტორივი უთანაბრობისა. აქ წნევება კითხვა: ხომ არ არის მიზანშეწონილი მთელმა რიგმა მაღალგანვითარებულმა ქვეყნებმა და ერებმა უარი თქვან თავიანთ სიმდიდრეზე დარიბი ქვეყნებისა და ერების სასარგებლოდ? (რისკენაც კაცობრიობას მოუწოდებს „ახალი კონომიკური საზოგადოებრივი წესრიგის” ლოზუნგი). ამავე დროს აღსანიშნავია ისიც, რომ არ შეიძლება შემოსავლების გადაცემა სხვა პირებზე იმ შემოხვევაში, თუ გადამცემის და მიმღების ურთიერთობაში დაირღვევა სამართლიანობა.

კაპიტალისა და შემოსავლების მთლიან მოცულობას მფლობელი განკარგავს თავისი შეხედულებისამებრ. თუ კაპიტალისა და შემოსავლის გამოყენება გადადის უთანაბრობაში, მაშინ მფლობელი იძულებული ხდება მიიღოს ადგევაზე ზომები. ერთადერთი შეზღუდვა, რომელიც შეიძლება არსებობდეს, ეხება საკუთრების კანონიერებას. ყოველი ადამიანის საბუთრება შეძენილ უნდა იქნეს კანონიერი გზით და ასევე უნდა ხდებოდეს გაცემა ყოველ მომდევნო მესაკუთრებზე. ე.ი. უნდა ხდებოდეს ძალდატანებისა და მოტევების გარეშე.

მასაჩუსეტსის ინსტიტუტის წარმომადგენელი პ. ვარიანი საზოგადოებას სთავაზობდა შემოსავლების განაწილებას შემდეგი პირინციპით: ყოველ ინდივიდს შეუძლია მიიღოს ნებისმიერ პერიოდში საზოგადოების მიერ წარმოებული კეთილდღეობისა და მომსახურების თანაბარი ნაწილი. კონკურენციის პირობებში თავისუფალ ბაზარზე ხელშეკრულების დადება იწვევს ისეთ შედეგს, როცა საზოგადოების არც ერთ წევრს არ ექნება სხვის მიმართ უკმაყოფილების გრძნობა. ყველა ზემოჩამოთვლილი საკითხ-

ელუარდ კავთიძე

ის მთავარ საფუძველს წარმოადგენს ინდივიდუალიზმი. ყურადღების ცენტრში არის ინდივიდის შემოსავლებისა და სიმდიდრის აბსოლუტური და შეფარდებითი მოცულობა.

როცა განიხილება ეკონომიკა ნ ინდივიდებითა და მ კეთილდღეობით, მაშინ სარგებლიანობის ფუნქცია ნ ინდივიდისთვის არის:

$$U_i = (X_{1i}, X_{2i}, \dots, X_{mi}, W_i), \quad (1)$$

სადაც X არის თ კეთილდღეობისა და მომსახურების რაოდენობა, W მედიცინური ფორმულირება, U ინდივიდის მიერ მოცემულ პერიოდში, ხოლო W_i არის მათ მიერ დაგროვილი სიმდიდრის მოცულობა. (1) ფორმულაში ყველა სიდიდე და გაუთვის მხოლოდ იინდივიდს.

ყველი ინდივიდის კმაყოფილების ხარისხი გამომდინარეობს მხოლოდ მისი შემოსავლებისა და სიმდიდრის ოდენობიდან და არანაირად არ არის დაკაგშირებული სხვა ინდივიდების მდგომარეობასთან.

სარგებლიანობის საერთო ფუნქცია ითვალისწინებს არა მარტო იინდივიდის შემოსავლებსა და სიმდიდრეს, არამედ სხვა ინდივიდებისასაც. ამგვარად ვიდებთ:

$$U_i = (X_{1i}, X_{2i}, \dots, X_{mi}, W_i, Y_i, W_j), \quad (2)$$

I ინდივიდი, რომელიც „კეთილმოსურნედ“ არის განწყობილი დარიბებისადმი და „არაკეთილმოსურნედ“ მდიდრებისადმი, შემოსავლების განაწილების (2) ფორმულის გათვალისწინებით, შესვდება დიდი მოწონებით, განსხვავებით (1) ფორმულისაგან.

საზოგადოებრივი კეთილდღეობა ან მომსახურება არის სპეციალური ეკონომიკური ფორმულირება, რომელიც შეიცავს „ურთიერთდამოკიდებულების ეფექტს“, რომელიც უშუალოდ არის დაკაგშირებული შემოსავლების განაწილებასთან. თუ (1) ფორმულიდან (2)-ზე გადასვლისას ინდივიდის ხარჯები კეთილდღეობასა და მომსახურებაზე იზრდება, მაშინ ამ კეთილდღეობასა და მომსახურებას ეწოდება „საზოგადოებრივი კეთილდღეობა“. ამ ხარჯების რაოდენობა გამომდინარეობს ინდივიდის შეხედულებიდან, თუ რა თანხები აქვს მას საჭიროდ საქონლის შესაძენად. განათლება, ქველმოქმედება, ქვეყნის თავდაცვა, კომუნალური, პოლიციისა და სახანძრო სამსახურების ფუნქციონირება - ეს არის ის, რაზეც ინდივიდი თანახმად დახარჯოს სოციალური თანხები, როგორც საზოგადოების ერთ-ერთმა წევრმა. მისი მზადყოფნა, დახარჯოს ფული, აიხსნება იმით, რომ მას სურს ამ დახარჯული ფულის საზღაურად მიიღოს სიმშვდე და სტაბილური სიტუაცია ქვეყნის მასშტაბით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. სამუელსონი პ., ნორდჰაუსი ეკონომიკი (ძირითადი შინაარსი). თბ., 1992.
2. მენქიუგ. ეკონომიკისპრინციპები, გამომცემლობა «დიოგენე», თბ., 2007.
3. მალაშენია გ. მეტაეკონომიკა – ეკონომიკისფილოსოფია, თბ., 1995.
4. Оплата по результату. Из опыта оплаты труда персонала в США, второе издание. Под общей редакцией Питера Т. Чингоса. Издательство «Диалектика», Москва – Санкт-Петербург - Киев, 2004.
5. ულკერ ფ. «Предпринимательство и доходы», М., 1994.

TENDENCY OF IMPROVEMENT OF ALLOCATION RELATIONSHIPS

EDUARD KAVTIDZE
Acad. doc. of Economy

Allocation relationships during its development history had been enjoying progress and regress. The interest of society toward this process was very high. It is hard to find such kind of attitude toward allocation relationships as is in the USA.

And now, when the humankind faces the necessity to solve such kind of issues as are: poverty problem, problems of different groups of people and professions, immigrants and ethnic minorities, the necessity of studying of allocation relationships has raised sharply and got “a new life”.

When people discuss economic, they first of all take into account how justly revenues are allocated. Under the just allocation are considered not only those resources that are important for minimal satisfying of biological needs of human being, but also those which will guarantee a person freedom, independent and basic needs of dignity protection.